პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი
26 იანვარი
1955 წელი
№ 8 (814)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზ
კულტურისა და სპორტის კო
მიტეტისა და პროფკავშირების
საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღება მეშახტეთა ფიზკულტურულ კოლექტივებს

დღითიდღე იზრდება საბჭოთა მძიმე ინდუსტრია. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკასა და მხარეში აგებულია მძლავრი ქარხნები, ფაბრიკები, აღმართულია კომბინატების უზარმაზარი კორპუსები. ჩვენი ხალხი სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იღებს მაღალხარისხოვან სამრეწველო პროდუქციას. მძიმე ინდუსტრიის ამ უმაგალითო განვითარებამ განაპირობა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა. ტრაქტორებმა, კომბაინებმა, სათესმა მანქანებმა და ტექნიკურად სრულყოფილმა სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებმა გააადვილეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომა, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება. მანქანები გამოყენებულია ყველა შრომატევად სამუშაოზე. მძიმე ინდუსტრიის განვითარებამ ჩვენი სამშობლო უფრო განამტკიცა ეკონომიურად, გაზარდა მისი თავდაცვისუნარიანობა.

მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს წიაღისეული სიმდიდრე — მადნეული, ნავთობი, განსაკუთრებით — ქვანახშირი. მოსკოვის, დონბასის, კუზნეცკის აუზები საბჭოთა კავშირის საწარმოებს ამარაგებენ სათბობით — ეგრეთწოდებული „წარმოების პურით". ამ ბუნებრივი დოვლათით საქართველოც მდიდარია. ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხის შახტები ყოველდღიურად ათასობით ტონა ქვანახშირს აწვდიან ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებს, ტრანსპორტს.

სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ მეშახტეთა შრომას, ყოველწლიურად იზრდება ასიგნობანი მეშახტეთა კულტურული და ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის. სკოლებით, კულტურის კერებით, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლებით იფარება მეშახტეთა დაბები. საბჭოთა ინჟინრების პატრიოტულმა სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ ახალი მანქანებით აღჭურვა შახტები, ხელით შრომა მანქანებმა შეცვალეს. ახლა ქვანახშირს ანგრევს კომბაინი „დონბასი", შახტიდან სათბობი მძლავრ კონვეიერს ამოაქვს, მადანი მექანიკურად ირეცხება, იტვირთება და იგზავნება დანიშნულებისამებრ.

მეშახტეები, მაღაროელები და წიაღისეული სიმდიდრის მომპოვებელი სხვა მთამადნელებიც დიდი პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობენ ჩვენს სამშობლოში. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ერთ დროს პატარა დაბა ჭიათურა ახლა მოწინავე ინდუსტრიულ ქალაქად გადაიქცა. ასეთი ქალაქები კი ჩვენს ქვეყანაში უამრავია.

ასეთ პირობებში ინტერესმოკლებული არაა, თუ როგორაა დაყენებული მეშახტეთა შორის ფიზკულტურული მუშაობა — საბჭოთა ადამიანების ფიზიკურად გამოწრთობის ეს ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალება. დასაფარი არაა, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ცუდად. დღეს ვაქვეყნებთ წერილს ტყვარჩელში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ იქ ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. არ მუშაობენ სექციები, არ არის ბაზები, კვალიფიციური მწვრთნელები და, რაც მთავარია, ამ ფრიად სასარგებლო საქმეს შახტების ხელმძღვანელობა არ აქცევს საჭირო ყურადღებას.

განა აღმაშფოთებელი არაა, რომ ტყვარჩელში სტადიონის აგება ჭაობიან ადგილას დაიწყეს? იქ ნიადაგი წინასწარ არ შეამოწმეს, ამიტომ ბეტონის იარუსები მეწყერმა დაანგრია და ასეული ათასობით მანეთი წყალში იქნა გადაყრილი. ცუდი მდგომარეობა გვაქვს ახალციხეში, ხოლო რამდენადმე უკეთესი — ჭიათურაში. მაგრამ არც იქ არის ის მჩქეფარე საქმიანობა, რომელიც მუშა ფიზკულტურელებს შორის უნდა იყოს.

ავიღოთ თუნდაც მშთ ახალი კომპლექსი. ტყვარჩელში, ტყიბულში, ახალციხეში, ჭიათურაში ჯერჯერობით მხოლოდ საუბრებია ჩატარებული, პრაქტიკულ მუშაობას კი არ შედგომიან. ზოგი ხელმძღვანელი ბაზების უქონლობას იმიზეზებს, ზოგი საჭირო ლიტერატურას. მაგრამ არც ერთი მათგანი არაა მართალი — ნიშნოსნების მომზადება მათ შეუძლიათ არსებულ ბაზებზეც.

უნდა ვუსაყვედუროთ სპორტულ საზოგადოება „შახტიორს". ეს ორგანიზაცია მრავალრიცხოვანია, საჭირო სახსრებიც გააჩნია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ნაკლები კავშირი აქვს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებთან, არ ზრუნავს მათ ორგანიზაციულად განმტკიცებაზე. სპორტული საზოგადოება „შახტიორი" რომ მოწოდების სიმაღლეზე იყოს, მაშინ ტყიბულში სპორტული ბაზის მშენებლობა დამთავრებული იქნებოდა, ლენინის სახელობის შახტის სპორტსმენებს საწვრთნელი ადგილი ექნებოდათ, ხოლო სტალინის სახელობის შახტის სპორტდარბაზს კარტოფილის საწყობად არ გადააქცევდნენ.

ჩვენ უფლება არა გვაქვს გულგრილად ვუყუროთ იმ შეუწყნარებელ ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი აქვს ტყიბულში, ტყვარჩელში, ახალციხეში. მეშახტეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ მათი ხელმძღვანელების მიერ ფიზკულტურისა და სპორტის ესოდენ უგულებელყოფისათვის. რედაქციამ მრავალი წერილი მიიღო მეშახტე სპორტსმენებისაგან. ისინი საკითხის მოგვარებასა და მუშაობის გამოცოცხლებას მოითხოვენ.

ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გარდაქმნან მუშაობა მეშახტეთა და მაღაროელთა შორის. ადამიანები, რომლებიც მიწისქვეშ შრომობენ და სახელმწიფოს აურაცხელ სიმდიდრეს სძენენ, მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის ღირსნი არიან.

ჩვენი ვალია ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ მეშახტეთა და მაღაროელთა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს. მივავლინოთ მათთან საქმის მცოდნე, ენერგიული მუშაკები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან ფიზკულტურის აღმავლობას, მოიზიდავენ, დააინტერესებენ ახალგაზრდებს, გამოაცოცხლებენ სექციების მუშაობას, იზრუნებენ ბაზების აგებაზე და ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს მთამადნელთა ფიზიკურ გამოწრთობას.

☆

სტუმრად დანიაში

დანიის ეროვნული ტანვარჯიშული კავშირის მიწვევით მოსკოვიდან კოპენჰაგენს გაფრინდა საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი. საბჭოთა სპორტსმენები დანიის სხვადასხვა ქალაქებში ჩაატარებენ საჩვენებელ გამოსვლებს.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების დელეგაციის ხელმძღვანელია ნ. კ. პოპოვი. დელეგაციაში არიან: აზარიანი, დირი, კოროლკოვი, კრავეცი, მანინა, მურატოვა, პეტროვა, ტიტოვი, შაგინიანი და შახლინი.

ღია წერილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერლებმა, საქართველოს სსრ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების სხვადასხვა კოლექტივებისაგან, აგრეთვე ამომრჩეველთა წინასაარჩევნო თათბირებისაგან მივიღეთ წერილები და დეპეშები, რომლებითაც გვაცნობებენ, რომ დასახელებული ვართ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში, და გვთხოვენ თანხმობა განვაცხადოთ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით ნდობისათვის ყველა ამხანაგ ამომრჩეველს, რომლებმაც დაგვასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

რადგან არჩევნების დებულების თანახმად თვითეულ ჩვენგანს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში, ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მითითებებისათვის მივმართეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რჩევა მოგვცა დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

ნ. ა. ბულგანინმა — ფრუნზეს 331 საარჩევნო ოლქში, ქალაქი ბათუმი,

კ. ე. ვოროშილოვმა — კიროვის 207 საარჩევნო ოლქში, ქალაქი ქუთაისი,

ლ. მ. კაგანოვიჩმა — ლენინის 293 საარჩევნო ოლქში, ქალაქი სოხუმი,

გ. მ. მალენკოვმა — 26 კომისრის სახელობის 46 საარჩევნო ოლქში, ქალაქი თბილისი,

ა. ი. მიქოიანმა — ახალქალაქის 97 საქალაქო საარჩევნო ოლქში,

ვ. მ. მოლოტოვმა — მოლოტოვის 16 საარჩევნო ოლქში, ქალაქი თბილისი,

მ. გ. პერვუხინმა — ტყიბულის 215 საარჩევნო ოლქში,

პ. ნ. პოსპელოვმა — ქარელის 76 საარჩევნო ოლქში,

მ. ზ. საბუროვმა — გეგეჭკორის 282 საარჩევნო ოლქში,

მ. ა. სუსლოვმა — ქვემო ბოლნისის 119 საარჩევნო ოლქში,

ნ. ს. ხრუშჩოვმა — ორჯონიკიძის 37 საარჩევნო ოლქში, ქალაქი თბილისი,

ნ. ნ. შატალინმა — ხიდისთავის 246 საარჩევნო ოლქში, ჩოხატაურის რაიონი.

ამის გამო ვთხოვთ შესაბამის საარჩევნო კომისიებს ეს ჩვენი განცხადება მიიჩნიონ დოკუმენტად დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის დროს.

ნ. ა. ბულგანინი
კ. ე. ვოროშილოვი
ლ. მ. კაგანოვიჩი
გ. მ. მალენკოვი
ა. ი. მიქოიანი
ვ. მ. მოლოტოვი
მ. გ. პერვუხინი
პ. ნ. პოსპელოვი
მ. ზ. საბუროვი
მ. ა. სუსლოვი
ნ. ს. ხრუშჩოვი
ნ. ნ. შატალინი

მეგობართა შეჯიბრება

საქართველოსა და უკრაინის მოთხილამურეთა შეჯიბრება

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). 23 იანვარს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ორი მოძმე რესპუბლიკის— საქართველოსა და უკრაინის უძლიერეს მოთხილამურეთა ამხანაგური შეჯიბრება. მეგობრობის მატჩის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. უკრაინელ სპორტსმენთა სახელით გამოვიდა მწვრთნელი ა. ლიმანი. უკრაინისა და საქართველოს გუნდების კაპიტნებმა მ. ორლოვამ და მ. გავამ აღმართეს შეჯიბრების ალამი. შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდისათვის დაწესებულია სპეციალური გარდამავალი ჯილდო, რომლის მოსაპოვებლად ყოველწლიურად გაიმართება შეხვედრა უკრაინასა და საქართველოში.

პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრებები ამანათრბენში და ხტომებში. ქალთა ამანათრბენში 3×5 კილომეტრზე გამარჯვებული გამოვიდა უკრაინის გუნდი, რომელმაც ეს მანძილი 1 საათში, 14 წუთსა და 28 წამში დაფარა. საქართველოს გუნდის შედეგია 1 საათი, 25 წუთი და 7 წამი. ვაჟთა ამანათრბენში 4×10 კილომეტრზე გამარჯვება კვლავ უკრაინელ სპორტსმენებს დარჩათ. მათ ეს მანძილი გაირბინეს 2 საათში, 35 წუთსა და 37 წამში. საქართველოს გუნდმა აჩვენა 2 საათი, 41 წუთი და 01 წამი.

45 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მონაწილეობას იღებდა 16 სპორტსმენი — 11 უკრაინიდან და 5 საქართველოდან. საქართველოს მოთხილამურეებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს. პირველი ადგილი დაიკავა პ. გავამ, რომელმაც მიიღო 233 ქულა, მეორე და მესამე ადგილებზეც საქართველოს წარმომადგენლები ა. ადამიანცი და ზ. თეაური გამოვიდნენ. მეოთხე ადგილი დაიკავა უკრაინელმა ლ. ზემლიანიცკიმ.

შეჯიბრების მეორე დღეს მოეწყო რბენა ქალებისათვის 5 კილომეტრზე, ხოლო ვაჟებისათვის— 18 კილომეტრზე. ქალთა შორის გაიმარჯვა უკრაინელმა მ. ორლოვამ (27 წუთი 03 წამი) ვაჟებიდანაც პირველი ორი ადგილი უკრაინელ სპორტსმენებს ხვდათ წილად. მესამე ადგილი დაიკავა საქართველოს მოთხილამურემ ი. მიხაილიცკიმ.

კოხტაგორაზე მოეწყო შეჯიბრება სლალომში. სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში პირველი სამი ადგილი, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის, მოიპოვეს საქართველოს მოთხილამურეებმა. ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა მ. გავა, ქალებში — ქ. ბანდური.

ო. ივდოშვილი.

• • •

სურათზე: მ. გავა სლალომის ტრასაზე.

მეშახტეთა შორის ფიზკულტურული მუშაობა უნდა ჩქეფდეს

★ ★ ★

არ არის ბაზები, არ მუშაობენ სექციები

მეშახტეთა ქალაქი — ტყიბული უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, კეთილმოწყობილი გახდა. მწყობრში ჩადგა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ქალაქის ხელმძღვანელობას მშენებლობის გენერალური გეგმის შედგენისას მხედველობიდან არ გამორჩა კულტურულ დაწესებულებათა ნაგებობებიც. უკვე სანახევროდაა აშენებული კულტურის სახლი. აქ მოეწყობა სპორტთამაშობათა დარბაზები. ქალაქში საფუძველი ჩაეყარა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს, საცურაო აუზს. ერთი სიტყვით, გეგმის განხორციელება წარმატებით დაიწყეს. მაგრამ, სამწუხაროდ, 1953 წელს დასამთავრებელი სამუშაოები დღეისათვის სანახევროდაა შესრულებული. საცოდავად გამოიყურება ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საცურაო აუზი. ბაზების უქონლობამ გამოიწვია რაიონში ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლა. აი ფაქტებიც:

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის 1954 წლის 30 იანვრის ბრძანების თანახმად იმ შახტებში, სადაც ამის საჭიროება მოითხოვს, ფიზკულტურულ მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდეს განთავისუფლებული ინსტრუქტორი. საამისო პირობები აქვთ ლენინის (უფროსი ბ. ვაჭარაძე) და სტალინის (უფროსი ი. ვალაბოევი) სახელობის შახტებს, მაგრამ მათი ხელმძღვანელები სახსრების ეკონომიის მიზნით უარს ამბობენ აიყვანონ ინსტრუქტორები.

ლენინის სახელობის შახტის ფიზკულტურულ კოლექტივს მოწინავედ სთვლიან რაიონში. საქმის დაწვრილებითი შესწავლის შედეგად კი დადასტურდა, რომ იგი არ შეიძლება მოწინავედ ჩაითვალოს. აქ არა აქვთ სპორტული ბაზა, სექციების სამეცადინო ოთახები. ერთ ხანს მეშახტე ფიზკულტურელებს სექციური მუშაობისათვის კლუბის ძველი შენობა გადასცეს. მუშაობა გაჩაღდა, კლუბს ათობით სპორტის მოყვარულმა მიაშურა, შინაარსიანად და ხალისიანად ატარებდნენ მუშაობიდან თავისუფალ დროს ტყიბულელი მეშახტე-ფიზკულტურელები, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა წვრთნა. შახტის ხელმძღვანელობამ რატომღაც კლუბი უვარგისად ჩათვალა, კრამიტის სახურავი გადააძრო (?), შემდეგ შტაბელებად დაწყობილი კრამიტი სადღაც გაქრა... სპორტსმენებმა ფარხმალი არ დაყარეს. იერიში ახალი კლუბის შენობაზე მიიტანეს (აბა მოჭიდავეებსა და მოკრივეებს წინ ვინ დაუდგებოდა), მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მალე მოუღო ბოლო ამ სექციების საქმიანობას. კლუბში დარჩა მხოლოდ სპორტული ინვენტარი, რომელიც სცენის ერთ კუთხეში უპატრონოდ მიყრილი.

— ერთი თვეა, რაც ლენინის სახელობის შახტში ვმუშაობთ. ყველა თანრიგოსანი ვართ. გვინდა უფრო ავიმაღლოთ თანრიგი, მაგრამ სად? ბაზები არ გვაქვს. პირველი ინტერნატის შენობაში ჭიდაობის, კრივისა და ჭადრაკის სექციებისათვის სამუშაოდ გამოსადეგი ოთახი საწყობად გადააქციეს. ჩვენ კი დროს ახალი ბაზების ძებნაში ვატარებთ. შახტში საკმაო რაოდენობით გვყავს თანრიგოსნები. მათ შეუძლიათ სათანადო წვრთნის შემდეგ კარგი შედეგები აჩვენონ. ჩვენვე ვუხელმძღვანელებდით სექციებს ისე, როგორც ა. გონგაძე ხელმძღვანელობს თავისუფალ ჭიდაობაში, ოღონდ საამისოდ საჭირო კუთხე მაინც გამოგვეყო,—შემოგვჩივლეს ქართული და კლასიკური ჭიდაობის მოყვარულებმა — ნ. ბუჩუკურიამ, გ. ღრუბელაშვილმა, ა. ნადირაძემ და სხვებმა.

ისინი არ ტყუიან. გასულ წელს აქ 10.000 მანეთის სპორტინვენტარი შეიძინეს, მაგრამ შესანახი ადგილიც კი არა აქვთ. ასეთ პირობებში რა მასობრივ მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი.

— ამ შახტს რას ჩააცივდით, ერთიც სტალინისა და მოლოტოვის სახელობის შახტებიც ნახეთ, — გვითხრა „შახტიორის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ ა. გელოვანმა და დაწვრილებით გაგვაცნო ამ შახტების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის მტკივნეული საკითხები. გამოირკვა: სტალინის სახელობის შახტის სპორტდარბაზში რამდენიმე თვის წინათ კარტოფილი შეზიდეს. მხოლოდ კრივის სექცია მუშაობს, — განაცხადა მან, მაგრამ ვინ არის გაერთიანებული სექციაში, სად ან რით მეცადინეობს, ამაზე პასუხი ვერ გაგვცეს. ასეთივე მდგომარეობაა მოლოტოვის სახელობისა და გელათის შახტებშიც, ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკაში, ბინათმშენებლობაში, ავტობაზასა და სხვაგან.

რაიონის 69 ფიზკულტურული კოლექტივიდან უმრავლესობა უმოქმედობს. სოფლის სკოლების მეტი წილი ბაზებისა და ინვენტარის მწვავე ნაკლებობას განიცდის. ფიზკულტურის მასწავლებლებიდან მხოლოდ თერთმეტია სპეციალური განათლების მქონე. ხშირად გაკვეთილები ტარდება ასაკობრივი თავისებურებების, სქესისა და ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა გურნის, კურსების, გელათისა და სხვა სასოფლო სკოლებში.

ფიზკულტურული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არც ქალაქის სკოლებში დგას. სამეცადინოდ ნორმალური დარბაზი მხოლოდ მეორე საშუალო სკოლაშია, მაგრამ იგი ისეა გადატვირთული, რომ ნორმალური მეცადინეობის ჩატარება ყოვლად შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ ამ სკოლის შენობაში შესახლებულია რუსული საშუალო სკოლა და სპორტსკოლა, ამიტომ ეს ერთადერთი დარბაზი გადატვირთულია, ამას გარდა აქ არ არის საკმარისი ინვენტარი, დარბაზი არ თბება, მინები ჩამტვრეულია. კედლებსა და ჭერს აშკარად ეტყობა უპატრონობის კვალი — მრავალნაირადაა მოხატული ტალახიანი ბურთის ანაბეჭდებით, სკოლაში არსებული მოედნების მოწყობის საუკეთესო საშუალება გამოუყენებელია.

სუსტად მუშაობენ სამთო-სამრეწველო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები. ისე როგორც ყველგან, აქაც მტკივნეულად დგას ბაზების საკითხი. არსებული ბაზები არ შეესაბამება ზომებს, მოუვლელია. მე-6 სკოლაში წყალკანალიზაციის მილების ჩასაწყობად მოედნები გადათხარეს, სპორტული ბაქანი გააუქმეს და ახალგაზრდები მომავალში უკეთესის მოწყობით დაიმედეს.

— რაიონში ფიზკულტურული მუშაობის ყველაზე მტკივნეული მხარე სოფლის კოლექტივებია, — გვითხრა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ბ. გრიგორაშვილმა. მართლაც, შემოწმებამ დაადასტურა, რომ „კოლმეურნის" რაისაბჭო სუსტად იბრძვის სოფლის ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვისათვის.

რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს და „კოლმეურნის" რაისაბჭოს ი. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს. აქ არ ტარდება კალენდარით გათვალისწინებული ღონისძიებები. უმოქმედობენ სექციები, იშვიათად ეწყობა სარაიონო პირველობები. მიმდინარე წლის კალენდარული გეგმა შედგენილია დაუდევრად (შეიცავს 9 ღონისძიებას). გეგმაში შეტანილი არაა კომპლექსური ღონისძიებანი, კოლმეურნე სპორტსმენთა შეჯიბრებები, „მხედველობიდან გამორჩათ" შეჯიბრებები ველო და მოტოსპორტში, ტურიზმში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და სპორტის მთელ რიგ სხვა სახეობებში. უხარისხოდ შედგენილი გეგმა დღემდე არაა დამტკიცებული.

„კოლმეურნეს" კალენდარით გათვალისწინებული ყველა სარაიონო ღონისძიებიდან შარშან 4 გუნდის მონაწილეობით მხოლოდ ფეხბურთელთა პირველობა ჩაუტარებია. სუსტმა ხელმძღვანელობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მუხურის მალენკოვის, ტელმანისა და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებში, სოჩხეთის, გურნის, ხრესილის, კურსების, კისორეთისა და სხვათა ფიზკულტურული საბჭოები ფორმალურად არსებობენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გასულ წელს სოფლის ძირეული კოლექტივების უმეტესობაში ანგარიშგება-არჩევნების ნაცვლად საარჩევნო კრებები ჩაატარეს.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს მშთ ახალი კომპლექსის ყველა ფიზკულტურელამდე დასაყვანად. ბევრგან უკვე შეუდგნენ ნორმატივების ჩაბარებასაც. ტყიბულში კი ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა, რადგან ი. ბერძენიშვილმა თავის ირგვლივ აქტივის შემოკრება ვერ შეძლო.

ტყიბულში — მეშახტეთა რაიონში ბევრია სპორტის მოყვარული, ენთუზიასტი ახალგაზრდა. ისინი ენერგიულად შრომობენ შახტებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში და სამართლიანად მოითხოვენ ჰქონდეთ აქტიური დასვენების პირობები. ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს მათი სამართლიანი მოთხოვნა.

ა. ხუჭუა,
ო. გელაშვილი.
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

სსრ კავშირის 1955 წლის პირველობა ფეხბურთში

გათამაშების დებულებიდან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის 1955 წლის „ა" კლასის საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების დებულება.

„ა" კლასის წლევანდელ პირველობაში მონაწილეობას მიიღებს 12 გუნდი. ესენია: „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მინსკი), „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი), „დინამო" (კიევი), ცდსა (მოსკოვი), „ზენიტი" (ლენინგრადი), „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (მოსკოვი) „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი), „შახტიორი" (სტალინო).

„ა" კლასის პირველობა ჩატარდება ორ წრედ. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან თავის და მოწინააღმდეგის მოედნებზე შეჯიბრების კალენდარის თანახმად. დუბლშემადგენლობათა გათამაშება ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზზე იწარმოებს აგრეთვე ორ წრედ, მათი მატჩები ჩატარდება იმავე მოედნებზე ძირითადი გუნდების თამაშის წინ.

გუნდები, რომლებიც 1955 წლის საკავშირო გათამაშებაში დაიკავებენ მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებს, გადაყვანილ იქნებიან „ბ" კლასში.

გუნდებს ადგილები მიეკუთვნება ყველა შეხვედრის შედეგად მიღებულ ქულათა ჯამის მიხედვით. ქულათა დარიცხვის სისტემა წინანდებურია: მოგება — 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება ან გამოუცხადებლობა — 0 ქულა.

თუ პირველ ადგილზე გამოსულ ორ ან რამდენიმე გუნდს (როგორც ძირითად, ისე დუბლიორთა შემადგენლობისათვის) აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა, მათ შორის ჩატარდება თითო დამატებითი თამაში ნეიტრალურ მოედანზე. დანარჩენი ადგილები, ქულათა თანაფარდობისას, განისაზღვრება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდებით (გატანილი ბურთების რაოდენობა იყოფა მიღებული ბურთების რიცხვზე). იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი თამაში დამთავრდა ფრედ, ინიშნება დამატებითი 30 წუთი. თუ ამ შემთხვევაშიც არ გამოვლინდა გამარჯვებული, მატჩი უნდა გადათამაშდეს მეორე დღეს იმავე პირობებით.

1955 წლის ჩემპიონატის დებულებაში შეტანილია ერთი მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი. „ა" კლასის ძირითადი გუნდების მატჩებში შეიძლება მხოლოდ მეკარის შეცვლა. „მინდვრის" მოთამაშის შეცვლა არ შეიძლება. დუბლშემადგენლობათა შეხვედრებში ნებადართულია მეკარისა და „მინდვრის" მოთამაშის შეცვლა.

გუნდს, რომელიც გათამაშებაში დაიკავებს პირველ ადგილს, მიენიჭება „ფეხბურთში სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონის" წოდება. გუნდი ჯილდოვდება ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო მოთამაშეები — ოქროს მედლებით. მეორე ადგილზე გამოსულ გუნდს გადაეცემა მეორე ხარისხის დიპლომი, ხოლო მოთამაშეებს — ვერცხლის ჟეტონები. მესამე ადგილზე გამოსული გუნდი ჯილდოვდება მესამე ხარისხის დიპლომით, ხოლო მოთამაშეები — ბრინჯაოს მედლებით.

დაჯილდოება ეხება იმ მოთამაშეებს, რომელნიც თავისი გუნდის შემადგენლობაში ითამაშებენ თამაშების არანაკლებ 50 პროცენტს.

გათამაშების კალენდარი

„ა" კლასი
(პირველი წრე)

აპრილი

10. „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ბაქოში; „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი); **„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მინსკი)**; „შახტიორი" (სტალინო) — „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი); „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ზენიტი" (ლენინგრადი); ცდსა (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) — ხარკოვში.
17. **„დინამო" (თბ.) — „შრ. რეზერვები"**; „შახტიორი" — „სპარტაკი" (მ.); „კრ. სოვეტოვი" — „დინამო" (მ.); „სპარტაკი" (მნ.)—„ზენიტი"; ცდსა— „ლოკომოტივი" — ხარკოვში; „დინამო" (კ.) — „ტორპედო".
24. „დინამო" (კ.) — „ლოკომოტივი"; „შახტიორი" — ცდსა; **„კრ. სოვეტოვი" — „დინამო" (თბ.)**; „სპარტაკი" (მნ.) — „დინამო" (მ.); „შრ. რეზერვები" — „ზენიტი"; „ტორპედო" — „სპარტაკი" (მ.).

მაისი

1. „დინამო" (მ.) — „დინამო" (კ.); **„დინამო" (თბ.) — ცდსა**; „სპარტაკი" (მნ.) — „ტორპედო"; „ზენიტი" — „შახტიორი".
2. „სპარტაკი" (მ.) — „ლოკომოტივი"; „შრ. რეზერვები"—„კრ. სოვეტოვი".
7. „ლოკომოტივი" — „შახტიორი".
8. „სპარტაკი" (მ.)—ცდსა; „სპარტაკი" (მნ.) — „კრ. სოვეტოვი"; **„დინამო" (თბ.) — „დინამო" (კ.)**; „ზენიტი" — „დინამო" (მ.).
9. „ტორპედო" — „შრ. რეზერვები".
13. „ლოკომოტივი" — „კრ. სოვეტოვი".
14. „შრ. რეზერვები" — „სპარტაკი" (მ.).
15. ცდსა — „დინამო" (მ.); „შახტიორი" — „ტორპედო"; „დინამო" (კ.) — „სპარტაკი" (მნ.); **„ზენიტი"—„დინამო" (თბ.)**.
20. „დინამო" (კ.) — „შახტიორი".
21. ცდსა — „ზენიტი".
22. **„დინამო" (მ.) — „დინამო" (თბ.)**; „შრ. რეზერვები" — „ლოკომოტივი".
23. „ტორპედო" — „კრ. სოვეტოვი".
24. „სპარტაკი" (მ.) — „სპარტაკი" (მნ.).
28. „ლოკომოტივი" — „ტორპედო".
29. „სპარტაკი" (მ.) — „ზენიტი"; „სპარტაკი" (მნ.) — „შახტიორი"; „შრ. რეზერვები"—„დინამო" (კ.).
31. ცდსა — „კრ. სოვეტოვი".

ივნისი

3. „დინამო" (მ.) — „შრ. რეზერვები".
4. „ზენიტი" — „დინამო" (კ.); **„დინამო" (თბ.) — „ლოკომოტივი"**.
5. „კრ. სოვეტოვი" — „სპარტაკი" (მ.); „სპარტაკი" (მნ.) — ცდსა.
8. **„შახტიორი" — „დინამო" (თბ.)**.
9. „ტორპედო" — „დინამო" (მ.).
12. „შრ. რეზერვები" — ცდსა; „სპარტაკი" (მნ.) — „ლოკომოტივი"; „კრ. სოვეტოვი" — „დინამო" (კ.).
13. „დინამო" (მ.) — „შახტიორი"; „ზენიტი" — „ტორპედო".
14. **„სპარტაკი" (მ.) — „დინამო" (თბ.)**.
18. „შრ. რეზერვები" — „სპარტაკი" (მნ.).
19. „დინამო" (მ.) — „სპარტაკი" (მ.); „ზენიტი" — „ლოკომოტივი"; „დინამო" (კ.) — ცდსა; „კრ. სოვეტოვი" — „შახტიორი"; **„დინამო" (თბ.) — „ტორპედო"**.

პირობითი აღნიშვნები: **მ. — მოსკოვი, კ. — კიევი, მნ. — მინსკი, თბ. — თბილისი.** თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

არის სერიოზული ნაკლოვანებები

მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში 86 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებშიც 5.000-ზე მეტი სპორტის მოყვარულია გაერთიანებული.

გასულ წელს მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ტყვარჩელის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობა. მთელ რიგ ძირეულ კოლექტივებში ჩამოყალიბდა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, აკრობატიკის, ჭადრაკისა და სხვა სექციები. ორჯერ ჩატარდა აგიტ-მოტოგადარბენა შორ მანძილზე. სტალინის სახელობის და № 2 შახტის ალპინისტებმა დაიპყრეს გუფისა და ხოჯალის მწვერვალები. ქალაქის ნაკრები გუნდები წარმატებით გამოვიდნენ აფხაზეთის პირველობებზე ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მოტოსპორტში, ქართულ ჭიდაობაში, კრივსა და სხვ.

მაგრამ ტყვარჩელის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის.

სპორტსაზოგადოება „შახტიორის" ტყვარჩელის რაისაბჭო (თავმჯდომარე ვ. ბუაძე) არადამაკმაყოფილებლად ეხმარება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, შემთხვევიდან შემთხვევამდე იწვევს საბჭოს სხდომებს. აქ არ იხილავენ ცალკეული კოლექტივების მუშაობის საკითხებს, ერთხელაც არ ჩატარებულა მეშახტე სპორტსმენების აქტივის კრება. № 3 და № 5 შახტებში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ჩაშლილია, რადგან არა აქვთ სპორტმოედანი და დარბაზი, განიცდიან ინვენტარის მწვავე ნაკლებობას. ქალაქის არც ერთ სავაჭრო მაღაზიაში სპორტინვენტარი არ იყიდება. საქმისათვის სასარგებლოა ტყვარჩელში გაიხსნას სპეციალიზებული მაღაზია, სადაც შესაძლებელი იქნება სპორტული ინვენტარის შეძენა.

ვ. ბარქაია

ჩვენ გვწერენ

◆

სექციები სუსტად მუშაობენ

ჩოხატაურის პიონერთა სახლში სპორტის რამდენიმე სექცია არსებობს, მაგრამ მათგან მხოლოდ ფრენბურთისა და კალათბურთის სექციები მუშაობენ დამაკმაყოფილებლად, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წლის ნახევარი კარგა ხანია დამთავრდა, მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის სექციებს მეცადინეობა ჯერაც არ დაუწყიათ. მთლიანად გააუქმეს ფეხბურთის სექცია.

აქ არის სპორტდარბაზი, სადაც შესაძლებელია სექციების ნორმალური მეცადინეობის ჩატარება. მაგრამ დარბაზი შესაკეთებელია, ცოტაა ინვენტარი, ამაზე კი თავს არავინ იწუხებს.

გ. ახალაია

აქტივის კრება უაქტივოდ

სტალინირში ჩატარდა ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის საოლქო კრება.

კრება მოუმზადებელი იყო. გაოცებას იწვევს ის, რომ მას ოლქის არც ერთი რიგითი სპორტსმენი, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი არ ესწრებოდა.

მომხსენებელმა, ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ უ. ხანიკაევმა თავის 20 წუთიან მოხსენებაში მეტად მკრთალად, ზერელედ გააშუქა ოლქის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობა, მასში გვერდი ჰქონდა ავლილი ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ტენდენციური იყო მოკამათეთა გამოსვლებიც. ისინი თავიანთი შეცდომების მიჩქმალვას ცდილობდნენ და ეს მაშინ როცა ოლქში ძალზე ჩამორჩება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. არ შესრულებულა მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმები, არ ჩატარებულა საოლქო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, შტანგაში, კრივსა და სპორტის სხვა სახეობაში, სუსტია დახმარება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი.

ვ. მელქოევი

სპორტული ქრონიკა

სოხუმში დამთავრდა აფხაზეთის პირველობა ფრენბურთში. პირველ ადგილზე გამოვიდა „მედიკი" (სოხუმი), მეორეზე — „ბურევესტნიკი" (გაგრა), ხოლო მესამეზე — „შახტიორი" (ტყვარჩელი).

პ. ბარბაქაძე

• • •

აბაშაში მოეწყო მოსწავლეთა შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. მონაწილეობდა ქალთა და ვაჟთა 20 გუნდი.

კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის გაიმარჯვეს მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ქალებში — პირველი საშუალო სკოლის კოლექტივმა. ფრენბურთში პირველი ადგილები დაიკავეს პირველი საშუალო სკოლის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა.

ი. თოფურია

• • •

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის საშუალო სკოლის პირველობაზე ჭადრაკში 16 მოსწავლე მონაწილეობდა. გაიმარჯვა მეათეკლასელმა ს. გოზალიშვილმა, რომელმაც 14 ქულა მოაგროვა.

თ. გოგიაშვილი

• • •

ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. მოსწავლეთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. სასწავლო წლის დაწყებიდან შეძენილია 3.000 მანეთის ინვენტარი. ნაყოფიერად მუშაობენ სექციები, რომლებშიც 250-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. კალათბურთელთა გუნდმა სკოლებს შორის საქალაქო შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა.

მ. ჩხაიძე



★

თბილისში საერთაშორისო შეხვედრის ჩასატარებლად ჩამოვიდა იაპონიის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

სურათზე: იაპონიის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ვ. რუსეცკისა.

★

სეზონის საინტერესო ღონისძიება

◆

საქართველოსა და იაპონიის მოჭიდავეთა შეხვედრის წინ

◆

თავისუფალ ჭიდაობაში უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატამდე ბევრი რამ არ იყო გარკვეული. სპეციალისტების აზრით ოქროს მედლების მთავარი პრეტენდენტები შვედები იყვნენ. ძლიერი გუნდები ჰყავდათ თურქებსა და ირანელებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერს. ოლიმპიური თამაშების შემდეგ საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებმა სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრეს. რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირში პირველხარისხოვან, ექსტრაკლასის მოჭიდავეთა დიდი რაზმია.

შვედების ჰეგემონიას პირველად საფუძველი შეერყა საბჭოთა მოჭიდავეების შვეციაში ვიზიტის შემდეგ. შვედების უძლიერესმა გუნდმა განიცადა მსოფლიოში არნახული დამარცხება, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. საბჭოთა მოჭიდავეების ბრწყინვალე გამოსვლებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში საბოლოოდ განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ შვედებს ისევე, როგორც თურქებსა და ირანელებს მოახლოვებულ მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა მოჭიდავეების სახით ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ.

ჩემპიონატის დაწყების წინ მსოფლიოს პრესამ განსაკუთრებული ხმაური ასტეხა იაპონიის მოჭიდავეთა შესაძლებლობებზე. ამჯერად გაზეთების პროგნოზები საფუძველს არ იყო მოკლებული. თავისუფალი ჭიდაობა იაპონიაში 20 წლის წინათ დაინერგა და მის განვითარებას ხელს უწყობდა ნაციონალური ჭიდაობა ძიუ-დო, რომელიც მეტად ახლო დგას თანამედროვე თავისუფალ ჭიდაობასთან. ამიტომ ჩემპიონატის საზეიმო გახსნის წინ მთავარ ფავორიტებს საბჭოთა კავშირს, თურქეთს, ირანს დაემატა კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე — იაპონიის მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივი.

მსოფლიო პირველობის შედეგები ყველასათვის ცნობილია. შეჯიბრებაში პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს თურქეთის მოჭიდავეებმა. მათ ერთი ქულით ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. შემდეგ იყვნენ ირანისა და იაპონიის მოჭიდავეები. წონითი კატეგორიების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ აკბასი (თურქეთი), დაღისტანლუ (თურქეთი), სასახარა (იაპონია), ტოვფიგი (ირანი), ბალავაძე (სსრკ), ზანდი (ირანი), ენგლასი (სსრკ) და მეკოკიშვილი (სსრკ).

უმჩატეს წონაში საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას იცავდა ცალქალამანიძე, მასთან ერთად პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ თურქი აკბასი და იაპონელი კიტანო. ცალქალამანიძემ დაამარცხა რა დელგადო (აშშ) და მოლაგხასემი (ირანი), მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. აქ მან წააგო შეხვედრა კიტანოსთან (ქულებით) და აკბასთან (4 წუთში), მაგრამ როგორც იაპონური გაზეთები აღნიშნავდნენ, ორივე შემთხვევაში ცალქალამანიძეს არ გაუმართლა. „განსაკუთრებით მოულოდნელი იყო დამარცხება აკბასთან, — წერდა ერთ-ერთი გაზეთი. — საბჭოთა მოჭიდავეს გამარჯვება თითქმის განაღდებული ჰქონდა, როდესაც იგი მეტად სახიფათო ილეთზე წავიდა და უეცრად მოწინააღმდეგის ნაცვლად თვით აღმოჩნდა ბეჭებზე". კიტანოს წილად ხვდა მეორე, ხოლო ცალქალამანიძეს — მესამე ადგილი.

მჩატე წონაში საბჭოთა მოჭიდავე გიგიაძე მეოთხე ადგილზე გამოვიდა დაღისტანლუს, ბენცეს (უნგრეთი) და იასკარის (ფინეთი) შემდეგ. იაპონელი იონემორი მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა. გიგიაძემ პირველსავე წრეში განიცადა დამარცხება დაღისტანლუსაგან. მომდევნო სამი შეხვედრა რეალთან (ფილიპინები), იაგიუბისთან (ირანი) და იასკარისთან (ფინეთი) გიგიაძემ მოიგო, მაგრამ მიიღო რა ხუთი საჯარიმო ქულა, ფინალში ვერ გავიდა. იონემორიმ (იაპონია) შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

ქვემსუბუქ წონაში ფინალისტები იყვნენ იაპონელი სასახარა, თურქი სიტი და საბჭოთა მოჭიდავე მუზაშვილი. ფინალამდე მუზაშვილმა ოთხი გამარჯვება მოიპოვა რაიზთან (აშშ), გივეტისთან (ირანი), ჰერარდთან (ავსტრალია) და ჰოფმანთან (უნგრეთი). ორი, უკანასკნელი გადამწყვეტი შეხვედრის ქულებით წაგების შემდეგ (სასახარასთან და სიტთან) მუზაშვილი აღმოჩნდა მესამე ადგილზე. მეორე ადგილი დაიკავა სიტმა, პირველი კი — სასახარამ. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ჩემპიონმა მესამე წრეში დამარცხება განიცადა ჰოფმანისაგან.

მსუბუქ წონაში პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ტოვფიგი (ირანი), ანდერბერგი (შვეცია) და გაბარაევი (სსრკ). მეორე წრეში გაბარაევმა ქულებით დაამარცხა იაპონელი კავანო, შემდეგ ამერიკელი კოპლი (3 წუთში) და თურქი კამბური. უკანასკნელ, მეხუთე წრეში გაბარაევი ორჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და ორჯერვე დამარცხდა ჯერ ტოვფიგთან, შემდეგ კი ანდერბერგთან შეხვედრაში. ამ წონაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ტოვფიგი, 2. ანდერბერგი, 3. გაბარაევი. იაპონელი კავანო მე-7 ადგილზე გავიდა.

ქვესაშუალო წონაში ყველა ხუთი შეხვედრა მოიგო საბჭოთა მოჭიდავემ ბალავაძემ, ამასთან ბალავაძემ 3 წუთში დაამარცხა მესამე საპრიზო ადგილზე გამოსული კანეკო (იაპონია). მეორე ადგილი ამ წონით კატეგორიაში წილად ხვდა ირანელ ფარდინს.

საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ზანდი (ირანი), რომელმაც მთელი შეჯიბრებების განმავლობაში ერთადერთი დამარცხება განიცადა კარტოზიასთან (მეხუთე ადგილი) შეხვედრაში. ვერცხლის მედალი ამ წონაში მოიპოვა ათლიმ (თურქეთი), ხოლო ბრინჯაოსი — კაცურამოტომ (იაპონია).

ქვემძიმე და მძიმე წონაში კონკურენციის გარეშე იყვნენ საბჭოთა მოჭიდავეები ენგლასი და მეკოკიშვილი. მათ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები.

საზღვარგარეთულმა პრესამ ერთხმად აღიარა, რომ იაპონელი სასახარა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე იყო. განსაკუთრებით აფასებდნენ სასახარას მიერ გამოცდილი თურქის ბაირამ სიტის დამარცხებას. სასახარამ თავის 5 შეხვედრას მოანდომა 66 წუთი და 40 წამი.

ვახტანგ ბალავაძე პრესის აღიარებით უმეტესობისათვის „ამოუხსნელი გამოცანა" იყო. მის ტექნიკას ბრწყინვალე, განუმეორებელი უწოდეს. ყველაზე მომხიბვლელი იყო ბალავაძის მიერ ჩატარებული შეხვედრები პერ ბერლინის (შვეცია) და ბექირ ბიუქეს (თურქეთი) წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალავაძემ შეხვედრების ჩატარებაზე ყველაზე ნაკლები დრო დახარჯა — 47 წუთი და 49 წამი.

ჭიდაობის სპეციალისტების აზრით, უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატი თავისი შემადგენლობით ყველაზე უფრო ძლიერი იყო. ამაში, როგორც ისინი აღნიშნავდნენ, „ბრალი მიუძღვის" საბჭოთა კავშირს, რომელმაც შეჯიბრებაზე შესანიშნავი გუნდი წარმოადგინა. „უდავოდ დიდი წარმატება მოიპოვა თურქეთის გუნდმა, — აღნიშნავდნენ იაპონიის გაზეთები, — მაგრამ პირველი ადგილი მას მაინც დაუმსახურებლად ერგო. მსაჯთა კოლეგიას რომ უფრო მეტი პრინციპულობა და ობიექტურობა გამოეჩინა, დღეს პირველ ადგილზე იქნებოდა არა თურქეთი, არამედ საბჭოთა კავშირი".

დღევანდელი ჩვენი სტუმრებიდან მსოფლიო პირველობის მონაწილე რამდენიმე სპორტსმენია: სასახარა, კანეკო, კაცურამოტო და სეკი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იაპონიის გუნდი შესუსტებული შემადგენლობით გვეწვია. პირიქით, ახალგაზრდა მოჭიდავეებმა ივაიმ, იძუკამ, კასახარამ და იკედამ იაპონიის პირველობაში გამარჯვებით მოიპოვეს საპატიო უფლება შეხვდნენ გამოჩენილ საბჭოთა მოჭიდავეებს. ასე მაგალითად, ფინალურ ბრძოლაში კიტანოზე გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა ივაიმ მოიპოვა იაპონიის 1954 წლის ჩემპიონის წოდება. იძუკა თავისუფალ ჭიდაობაში მოვიდა ნაციონალური ჭიდაობით ძიუ-დოთი. სწორედ ამიტომაა მისთვის დამახასიათებელი ელვისებური ფანდები, მოულოდნელი შეტევა და არაჩვეულებრივი მოქნილობა.

საქართველოსა და იაპონიის მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა სპორტული საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს. წინასწარ იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს, ძნელია. ერთი კი ცხადია — ეს იქნება სპორტული სეზონის ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება.

ნ. ახვლედიანი

აზერბაიჯანი-იაპონია

ბაქოში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა იაპონიისა და აზერბაიჯანის მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. როგორც ცნობილია, პირველი მატჩი იაპონიის მოჭიდავეებმა წააგეს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ანგარიშით 6:2.

საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ იაპონელმა მოჭიდავეებმა გაითვალისწინეს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. აწონ-დაწონეს მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობები — რევანშის აღების სურვილი დიდი იყო და სტუმრები სწორედ ამ გრძნობით გამოვიდნენ საჭიდაო სარბიელზე.

შეჯიბრების პირობების თანახმად გუნდებს უმჩატეს წონაში ორი სპორტსმენის გამოყვანის უფლება ეძლეოდათ. ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ საიადოვი და სამურა (იაპონია). საბჭოთა მოჭიდავემ ენერგიულად დაიწყო შეხვედრა და მალე მოწინააღმდეგე ჩოქბჯენში გადაიყვანა. უკანასკნელი ახერხებს კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევას, მაგრამ დიდი ხნით არა. მე-6 წუთზე საიადოვი კვლავ იჭერს მოწინააღმდეგეს ფანდზე და მალე აღწევს სუფთა გამარჯვებას. უმჩატეს წონაში აზერბაიჯანის გუნდიდან მეორე მონაწილე იყო კარავაევი. იგი შეხვდა ივაის. 15 წუთიან ბრძოლაში გამარჯვება ქულებით საბჭოთა მოჭიდავემ მოიპოვა.

მჩატე წონაში იაპონელმა იძუკამ პირველ შეხვედრაში (საბჭოთა კავშირის ნაკრებთან) გამარჯვებას მიაღწია. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე მამედბეკოვი იყო. იძუკამ თავისი მაღალი ოსტატობა აქაც გამოამჟღავნა და ქულებით მოუგო მოწინააღმდეგეს. მეორე ქულა თავის გუნდს მისცა მსოფლიო ჩემპიონმა სასახარამ. მან 15 წუთში დაამარცხა სალიმულინი (აზერბაიჯანი).

საინტერესოდ ჩატარდა შეხვედრა მსუბუქ წონაში კასახარასა და დადაშევს შორის. ქულებით გაიმარჯვა კასახარამ. მსოფლიო პირველობის პრიზიორმა ქვესაშუალო წონაში კანეკომ დაამარცხა კაჩაევი (აზერბაიჯანი). ანგარიში გახდა 4:2 იაპონელ მოჭიდავეთა სასარგებლოდ. მომდევნო სამ შეხვედრაში უპირატესობა აშკარად საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო.

პრეობრაჟენსკიმ (საშუალო წონა) მოუგო იკედას, გურინმა 9 წუთში ბეჭებზე დასცა კაცურამოტო (ქვემძიმე წონა). მძიმე წონის მოჭიდავეების პრუტკოვსკისა და სეკის შეხვედრა 2 წუთსა და 50 წამში დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენის ბრწყინვალე გამარჯვებით.

ამრიგად, აზერბაიჯანისა და იაპონიის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 5:4 საბჭოთა მოჭიდავეების სასარგებლოდ.

დ. ქარაფოვი

ბაქო.

ყაბახის ნაირსახეობანი

სპორტის ისტორიიდან

ჩვენი მიზანია მოგითხროთ ყაბახის იმ სახეობათა შესახებ, რომლებიც გავრცელებული იყო უძველეს დროსა და XIX საუკუნეში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი მეტად მიმზიდველია და ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება მათი გაცნობა.

არჩილ მეფის გადმოცემით, საქართველოში ცოდნიათ 365 სახის „ზნეობა“ ანუ თამაში, რომელთა შორის ცხენოსნურ თამაშებს დიდი ადგილი ეკავა. ზოგიერთი ბევრს გვინახავს, ხოლო ზოგიერთის სახელი დღევანდლამდეა შემონახული. ესენია: ისინდი, თარჩია, ჯირითი, დოლი ბარისა და მთისა, მარულა სხვადასხვა მანძილზე; ცხენბურთის მრავალი სახეობა: ჩოგანბურთი, გარდი, რადრაბაგანი, ამფამაგი; ყაბახი მშვილდისრით, ხელჯოხით, თოფითა და სხვ.

ყაბახზე საინტერესო ცნობებს იძლევიან ვახუშტი ბატონიშვილი, პ. იოსელიანი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი და სხვები. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც საქართველოში 1631-1649 წლებში იმყოფებოდა, „სამეგრელოს აღწერაში“ ყაბახს ასე აგვიწერს: „შეჰკრავენ ორ ძლიერს გრძელ კოჭს, ანძის მსგავსს და დაასობენ ფართო მოედნის შუაგულში და გაწვრილებულ წვერზე დაადგამენ პატარა მრგვალ მაგიდას... დასდებენ ხსენებულ მაგიდაზე ვერცხლის თასს და მიიწვევენ მშვილდისრით შეიარაღებულს მრავალს ცხენოსანს. ეს მხედრები ერთი მეორეზე მოაჭენებენ ცხენებს ყაბახისაკენ. როცა მხედარი ყაბახს მიუახლოვდება, მომართავს მშვილდისარს და გაჭენებულ ცხენიდან ესვრის ვერცხლის თასს, რომელიც ყაბახის წვერზეა. ვინც მოახვედრებს თასს და ჩამოაგდებს ძირს, იგი გახდება მისი პატრონი და ქებას დაიმსახურებს ყველა დამსწრეთა მხრით“. თეიმურაზ II კი ყაბახის ძველებური თამაშს „სარკე თქმულთაში“ ასე გაულექსია:

„როდის იქნების ქორწილი
ან სხვა დღეობა კარგიო,
ყაბახზე ოქროს ვაშლს შესმენ,
ძვირფასის იყოს ვარგიო,
კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ,
ზედ არ ეკიდოს ბარგიო,

და კურტაკიანთა ვაჟთა თქვან:
სროლაში მკლავო მარგიო!
ცხენს ისხდენ, კარგსა
დაკაზმულს,
რახტით, უნაგირითაო,
მძიმეს ნაკერის ორთუქით,
ბუშტით და ყუთაზითაო,
ვაჟკაცთა ეცვას კურტაკი
ბრტყელისა ზორტუბითაო,

და დაუწყონ სროლა ყაბახსა
მათ ცხენის ჭენებითაო.
ასე უნდა მას დღეს კაცმან
ამ გზით სროლას ეცადოსა,
მკლავზე მშვილდი შემოიცვას,
წელს ყოდალი გაირჭოსა,
ცხენი შეძრას, პირველ
მშვილდსა
ხელით ფეშრი მან უყოსა,

და მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს,
კილოს მაგრად დაზიდოსა.
უნდა მშვილდი დაზეული
ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა,
ცხენი აღარ დააზაროს.
ყაბახს მუხლი დააცილოს,
მაშინ უნდა გარდიხაროს,

და ესროლოს თუ, ჩამოაგდოს,
თავს გული გაახაროს“...

მშვილდისრით ყაბახის თამაშზე საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლო, საქართველოდან რომში „სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაციისადმი“ წარგზავნილ მოხსენების ფრაგმენტებში. იგი 1682 წლის 13 ივნისს დასწრებია „დიდ მინდორზე“ გამართულ თამაშს და ლამაზადაც აუწერია: „ერთბაშად ცხენს დეზი ჰკრეს და გაშმაგებული ჭენებით ყაბახისაკენ გაემართნენ. ყველას თვალი თასზე იყო მიპყრობილი. ყაბახს დაუახლოვდნენ თუ არა, თასს ისარი სტყორცნეს. ვუყურებდი, თუ როგორ ცდილობდა ყველა (მხედარი) თასისათვის ისარი მოეხვედრებინა და ძირს ჩამოეგდო. ბოლოს ერთმა მოახერხა ეს და თასი ყაბახიდან დაბლა გადმოაგდო, რამაც იქ მყოფთა შორის საერთო აღტაცება გამოიწვია. ჭეშმარიტად, აღტაცება-ქების ღირსია ის, ვინც ისრის სიმაღლეზე ტყორცნით, გაშმაგებული ცხენის მართვა-ჭენებით ისე ოსტატურად ირჯება-იღუნება, რომ მეტად მცირე საგანს ისარს ახვედრებს“.

გარდა ზემოაღწერილისა საქართველოში იცოდნენ და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყაბახის ხელჯოხით თამაში. ამგვარი ასპარეზობანი უფრო რთული და ინტერესიანი იყო, იმის გამო, რომ აქ მხედარს უფრო მეტი ცოდნა და სიმარჯვე მართებდა. ყაბახის ეს სახეობა დღემდე ნაკლებადაა ცნობილი, ამიტომ მასზე ვრცლად შევჩერდებით.

1848 წელს საქართველოსა და სომხეთში იმოგზაურა აკადემიკოსმა მარი ბროსემ. მოიარა რა ეს ქვეყნები, უამრავ საინტერესო ისტორიულ მასალასთან ერთად წიგნში „ცნობები საქართველოსა და სომხეთში არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ“ აღწერა ქართული ძველი ხალხური თამაშობანი. ამავე წელს იგი ეწვია სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს, რომელმაც ქუთაისის გენერალ გუბერნატორის გაგარინისა და სხვა უცხო სტუმრების პატივსაცემად ჩვეულებრივზე უფრო გრანდიოზული დღესასწაული-ასპარეზობა გამართა, რომელსაც ბროსეც ესწრებოდა და მას შემდეგნაირად აღწერს: „ყოველი მხრით დაიწყო უსისხლო ბრძოლა... დადიანი თვით იღებდა მონაწილეობას ამ თამაშში და ეს მას დამამცირებლად არ მიაჩნდა. დადიანის ფალავნის მეთაურობით მოთამაშე გუნდს თვითონ დადიანი ისეთი ოსტატური ხელოვნებით ეხმარებოდა, რომ იშვიათად თუ ვინმე დამარცხებდა მათ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ცხენოსანი გუნდები თამაშობდნენ ისინდს. ბროსე განაგრძობს თხრობას: „ამ პერიოდში მზადდებოდა ორი უფრო სერიოზული თამაში, ასპარეზის შუაგულში აღმართეს სამი თუ ოთხი საჟენის სიგრძის ჭოკი, რომელიც მთავრდებოდა ვერცხლის თასით. თასის ბრწყინვალება მხედართა გულებს იმედით და სურვილებით აძგერებდა. თვალი სისწრაფით გამოქანებულ მხედრებს მსუბუქი თხილის ხელჯოხით ანძასთან მიახლოვებისას უნდა ესროლათ თასისათვის, მოერტყათ მისთვის და გადმოეგდოთ. თუ ჯოხი ანძას მოხვდებოდა და შერყევისაგან თასი გადმოვარდებოდა ჯერი არ იყო. მას კვლავ ადგილზე დასდგამდნენ და უფრო მოხერხებულს მიანებებდნენ. გამარჯვებული მხედარი, რომელიც თასის მფლობელი ხდებოდა, მთავრის წინაშე მადლობის მოსახსენებლად უნდა წამდგარიყო და სიმარჯვისათვის მთავრისაგან მილოცვა მოესმინა. ეს თამაშია ყაბახი, რომელიც აზიის მებრძოლ მცხოვრებლებს ძლიერ უყვართ... საათნახევრის განმავლობაში 50-ზე მეტმა მოცილემ ისრის სისწრაფით გადასჭრეს ასპარეზი. მათ შორის, შემხვედრი ქარის მიუხედავად მხოლოდ სამმა უპასუხა ყველა მოთხოვნას. ესენი იყვნენ თავადები მალხაზ აფაქიძე, დავით და ბათუ ფალავები“.

ცეცხლმსროლელმა იარაღმა საქართველოს ლაშქარს ახალი მოთხოვნები წაუყენა. თოფ-დამბაჩამ შეცვალა მშვილდ-ისარი. ქართველთა ფანტაზიამ მამაპაპური ყაბახის საფუძველზე შეიმუშავა საბრძოლო წვრთნის ახალი ორიგინალური სახეობა — ყაბახის თოფით თამაში. იგივე ბროსე ასე მოგვითხრობს: „მეორე მხარეს, ბაზრის მიმართულებით, ამართული იყო მეორე ანძა. იგი ასრულებდა სამიზნეს როლს მსროლელებისათვის, რომლებიც ძლიერ შორ მანძილზე იმყოფებოდნენ. ნაცვლად იმისა რომ ზეზე მდგარიყვნენ და ისე დაემიზნებინათ, ესენი ჯდებოდნენ, თოფის ლულას ორკაპზე დებდნენ და ისე ისროდნენ. მრავალი საათის განმავლობაში ისინი უშედეგოდ ვარჯიშობდნენ ოსტატობაში. აზარფეშა შეუხებელი რჩებოდა, მხოლოდ მეორე დღეს ჩამოვარდა იგი და ისიც იმიტომ რომ სროლის მანძილი შეამცირეს“.

ანალოგიურად, თუმცა მცირე ცვლილებებით, აგვიწერს სერგი მაკალათია „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფიაში“ ყაბახის თოფით თამაშს. იგი წერს: „ქორწილის მეორე დღეს მაყრებმა იცოდნენ ქათმების ხოცვა და აგრეთვე ნიშანში სროლა, ამ მიზნით დადგამდნენ ყაბახს. ხეზე მიაკრავდნენ გრძელ ჯოხს, რომელზედაც თეფში იყო ჩამოკიდებული და ვინც მას ნიშანში ამოიღებდა და ჩამოაგდებდა, მას ასაჩუქრებდნენ“.

1854 წლის „კავკასში“ ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი აგვიწერს მთიელთა რელიგიურ დღესასწაულებს:“ ერთი თემი დოლს მართავს, მეორე — ყაბახს, მესამე კიდევ სხვას. კერძოდ ხევსურები მიცვალებულის აღაპისას ყაბახს აწყობდნენ. გარდაცვალებულის ახლო ნათესავნი ნიშნავდნენ პრიზს — რამდენიმე წყვილ წინდას, რომელსაც გრძელ ჭოკზე ჩამოკიდებდნენ. პრიზს მოიპოვებდა იგი, ვინც 40 ნაბიჯის დაშორებიდან თოფის სროლით გაწყვეტდა საკიდ ძაფს და წინდას ჩამოაგდებდა“.

საქართველოს სპორტული ახალგაზრდობისათვის და მათ შორის კოლმეურნე ცხენოსნებისათვის, ჩვენ ვფიქრობთ, მეტად საყურადღებოა ყაბახის ხელჯოხით ან თოფით თამაში. მშვილდისარი მეტად ძველი იარაღია და ახალგაზრდობის დაოსტატებაში სროლა და ტყორცნა მეტ წვლილს შეიტანს.

ა. ცამციშვილი

ე. სიდოროვა

★

ალმა-ატის ახლოს მდებარე საციგურაოზე საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა საბჭოთა კავშირის პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში. განსაკუთრებით დაძაბული იყო ქალთა სლალომი. ბრწყინვალედ გაიარა ტრასა საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონმა ე. სიდოროვამ. ორი ცდის ჯამში, აჩვენა რა 1:53,6, მან მერვედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

არანაკლებ დაძაბული იყო ბრძოლა ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის სწრაფდაშვებაში. ვაჟებში 1955 წლის ჩემპიონი გახდა ტიურინი, რომელმაც დისტანცია გაიარა 1:52,5. გამარჯვებულს 0,4 წამით ჩამორჩა ფილატოვი.

ქალთა სწრაფდაშვება მოიგო სიდოროვამ — 1:57,6. ეს ნიჭიერი სპორტსმენის მესამე ოქროს მედალია ამ შეჯიბრებაში. მეორე ადგილი დაისაკუთრა ვოგულკინამ — 2:02,9, ხოლო მესამე — გიპენრეიტერმა — 2:13,2.

★

ამას წინათ მოსკოვის სახელმწიფო ცირკში ჩატარდა სსრ კავშირისა და შვეციის კლასიკურ მოჭიდავეთა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც საბჭოთა მოჭიდავეების გამარჯვებით დამთავრდა.

სურათზე: ნიკოლაევისა (სსრკ, მარჯვნივ) და ნილსონის (შვეცია) ჭიდაობის მომენტი. პუნკინისა (სსრკ, მარჯვნივ) და ფრეის (შვეცია) შეხვედრა.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა.

★

ლვოვის საწყლოსნო ბილიკებზე

ლვოვში დამთავრდა ნორჩ დინამოელთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ცურვაში.

თბილისელ გოგონათა გუნდმა (ა. მარგუნენკო, ე. შაედია, ლ. სმირნოვა, მ. არაქელოვა) ნებისმიერი სტილით ამანათცურვაში 4×100 მეტრზე დაამყარა ცენტრალური საბჭოს ახალი რეკორდი. საქართველოს გოგონათა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე კომბინირებული ამანათცურვა 4×100 მეტრზე.

ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ გოგონებს შორის 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში მ. არაქელოვა, 200 მეტრზე ბრასით — ლ. კირიჩენკო, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით — ლ. სმირნოვა, ხოლო ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — ბ. სირკინი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა მოცურავეებმა, მეორე ადგილზე არიან მოსკოვის, ხოლო მესამეზე — გორკის წარმომადგენლები.

პ. დადიანიძე

შეჯიბრება სროლაში

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონში გაიმართა საკვალიფიკაციო შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. მონაწილეობას ღებულობდა სკოლების, სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულებების 450-ზე მეტი წარმომადგენელი.

შეჯიბრების 13 მონაწილემ შეასრულა მეორე, ხოლო 151-მა — მესამე საკავშირო თანრიგის ნორმები.

ი. ხაბეიშვილი

ყოველი მხრიდან

კრივი, ფეხბურთი, ჰოკეი...

⊙ პოლონეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდი შეხვდა ფინეთის ეროვნულ გუნდს. პოლონელებმა მოიპოვეს თოლი გამარჯვება ანგარიშით — 8:2.

⊙ სტოკჰოლმში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ჰოლანდიის მოკრივეთა ნაკრები გუნდები. შვედებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით — 6:4.

⊙ განთქმულმა უნგრელმა მოცურავემ დ. ტუმპეკმა 0,1 წამით გააუმჯობესა თავისი მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. ტუმპეკის ახალი რეკორდი უდრის 1:02,0.

⊙ ოსლოში გაიმართა ორი შეხვედრა ფინეთისა და ნორვეგიის ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდებს შორის. ორივე შეხვედრა დამთავრდა ნორვეგიელთა სასარგებლოდ—4:1 და 4:0.

⊙ ჯაკარტში (ინდონეზია) შვეციის საფეხბურთო კლუბი „კალმარი“ შეხვდა ადგილობრივ ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით — 3:1.

⊙ შვეციის საფეხბურთო ლიგის მეორე წარმომადგენელი აიკ ტურნეს ატარებს კალკუტაში. ადგილობრივი ნაკრები შვედებმა დაამარცხეს ანგარიშით — 3:1, ხოლო მატჩი ინდოეთის ნაკრებთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

⊙ იტალიის ფეხბურთის ჩემპიონატში გათამაშების ლიდერმა „მილანმა“ განიცადა პირველი დამარცხება „რომასგან“ (რომი) — 1:2. მიუხედავად ამ დამარცხებისა, მილანი მაინც ინარჩუნებს ლიდერობას.

ბრატისლავა. აქ გაიმართა ამხანაგური მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდებს შორის. ჩეხებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით — 11:2.

სტამბოლი. მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში თურქეთისა და ფინეთის გუნდებს შორის დამთავრდა ფინელთა გამარჯვებით, ანგარიშით — 6:2.

სან-პაოლო. ტრადიციული კროსი 7.900 მეტრზე, რომელიც ჩატარდა ევროპელი მძლეოსნების მონაწილეობით, დამთავრდა ცნობილი იუგოსლაველი სტაიერის მიხალიჩის გამარჯვებით. მან დისტანცია დაფარა 21 წუთსა და 51 წამში.

⊙ იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერმა „მილანმა“ დაამარცხა ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ვესტჰამი“ ანგარიშით — 6:0. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ბურთი გაიტანეს უცხოელმა ფეხბურთელებმა: შვედმა ნორდალმა, არგენტინელმა ფრიგნალიმ და ურუგვაელმა შიაფინომ.

⊙ დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. წინაა „ტურბინა“ (ერფურტი) და „დინამო“ (ბერლინი). საბჭოთა მაყურებელთათვის ცნობილი „ფორვერტსი“ (ბერლინი) მე-7 ადგილზეა.

რედაქტორი ი. უგულავა

ნ
გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00314